



9589-04-5-2-201908291753

N 04-5/9589



29/08/2019

ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება
„ბორჯომის ჯანმრთელი მომავალის“ დირექტორს
ქალბატონ ნინო ბენდელიანს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

ნ. შ.-ს მიმართ საგადასახადო შეღავათის გავრცელების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო ნინო,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სოფელ X-ის ბადის თანამშრომლის, ნ.შ.-ს #7739/19 განცხადება ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალის“ მხრიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლიდან საშემოსავლო გადასახადის უკანონო დაკავების ფაქტთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ 2016 წლიდან დღემდე ნ.შ.-ს დამსაქმებლის მხრიდან მიღებული ხელფასიდან უკანონოდ უკავდება საშემოსავლო გადასახადი.

ფაქტობრივი გარემოებები:

როგორც განმცხადებლის, ისე ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალის“ მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ ნ.შ. 2016 წლიდან დასაქმებულია სოფელ X-ის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში და ყავს სამი თვრამეტ წლამდე ასაკის შვილი.

2016 წლიდან 2019 წლის 16 ივლისამდე პერიოდში ნ.შ.-ს დარიცხული ხელფასი შეადგენდა 10186,96 (ათი ათას ას ოთხმოცდაექვსი ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს, აქედან დაბეგრული საშემოსავლო გადასახადი 1882,19 (ათას რვაას ოთხმოცდაორ ლარი და ცხრამეტ თეთრი) ლარია. უნდა აღინიშნოს, რომ ნ. შ.-სთვის 2016 წელს გაცემული ხელფასის ნაწილზე დამსაქმებლის მხრიდან არ განხორციელებულა საშემოსავლო გადასახადის დაკავება.

სამართლებრივი გარემოებები:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა.ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული 3000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი თუ ფიზიკური პირი მუდმივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში და მის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი.

ა(ა)ივ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად არის საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომლის უფლებამოსილებას განეკუთვნება ბორჯომის რაიონის სოფელ X-ში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლებისთვის, მათ შორის ნ.შ.-სთვის, შრომის ანაზღაურების გაცემა.

როგორც მოგეხსენებათ, ბორჯომის რაიონის სოფელი X შედიოდა 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული კანონის დანართით განსაზღვრულ ჩამონათვალში აღნიშნულ სოფლებში. 2016 წლის 1 იანვრიდან სოფელი X აღარ არის შეყვანილი საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის #671 დადგენილებით დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. ხაზგასასმელია, რომ მიუხედავად აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებისა საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2016 წლის 4 მარტს შეტანილი ცვლილებების თანახმად (დოკუმენტის ნომერი: 4842-III, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს დაემატა 91-ე ნაწილი) პირები რომლებიც ცხოვრობდნენ 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული კანონის დანართით განსაზღვრულ ჩამონათვალში აღნიშნულ სოფლებში, თემებში და დაბებში, შეუნარჩუნდათ 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საგადასახადო შეღავათი საშემოსავლო გადასახადში. აღნიშნული კანონი ვრცელდება 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზეც.¹

ვინაიდან, ა(ა)ივ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავლის“ მხრიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არ მიუღია ისეთი ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოებების შესახებ ინფორმაცია რაც გამორიცხავდა ნ. შ.-სთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის „ა.ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათით სარგებლობის უფლებას, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით, ნ. შ.-ს მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი და დამსაქმებლის მხრიდან უნდა დაუბრუნდეს 2016 წლიდან მოყოლებული (ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში

¹ იხ. საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებ. გვერდზე განთავსებული ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2016 წლის 4 მარტს განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის მიზანთან და ძირითად არსთან დაკავშირებით <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/112859?>; ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2019 წლის 19 აგვისტოს #05- 01/89765 წერილით განემარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 91-ე ნაწილით განსაზღვრულ ნორმას ამოქმედებიდან დღემდე რაიმე სახის ცვლილება ან დამატება არ განუცდია.

ხელფასის სახით მიღებული 3000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავლიდან) უსაფუძვლოდ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

1. ნ.შ.-სთვის ხელფასის გადახდისას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით აღარ მოხდეს საშემოსავლო გადასახადის დაკავება, ასევე, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში დაუბრუნდეს ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალის“ მიერ 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ გაცემული ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის სახით უსაფუძვლოდ დაკავებული თანხა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია
სახალხო დამცველი